


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 52 დეკემბერი, 10 1895 წ. № 52



კუდიანი ღრუბელი.

## ზოგიერთთა საყურადღებოთ.

თანამედროვე ცხოვრებამ ყოველ ერს ძალა დაატანა იმ მუდმივ ცდასა და ფიქრში იყოს, რომ თავისი ვინაობა დაიცვას და სხვას, უფრო ძლიერს არ გააქელვინოს თავისი არსებობა, თავისი ადამიანური უფლებანი. ძლიერი და დამოუკიდებელი ერებიც კი, რომელთ მდგომარეობა მათთვის არაფერს სახიფათოს წარმოადგენს, თავგამოდებით ცდილობენ, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მათი გვარ-ტომობა არ დაიყოს, არ დაიქსაქსოს, მათი ეროვნული ძალ-ღონე არ შესუსტდეს და პოლიტიკური აგებულება არ დაიშალოს. სადაც არ უნდა იყოს მათი მოძმე და მეგვარტომე, მას დახმარებას და შემწეობას აღმოუჩენენ ხოლმე, რომ ამით ის შემოიდუღონ, დაიკავშირონ და შთაბერონ მას საზოგადო, ეროვნული მისწრაფება, სურვილი და წადილი. ასე იქცევა და ასე მოქმედებს დღეს ყველა. ჩვენ კი, თითქოს, აქ არაფერიაო, თვალებს არ ვახელთ და ყოველსავე ამას განგებ არ ვამჩნევთ, უფრო, რასაკვირველია, ჩვენი უმეცრებისა გამო. ყველაზე უფრო კი სწორეთ ჩვენ გვეჭირვება ასეთი მოქმედება. ჩვენი გვარ-ტომობა სახიფათო განსაცდელში დღეს ჩაყენებული. ჩვენი გვარ-ტომობა გაბნეული, მიფანტულ-მოფანტული და ათასგვარათ დაქსაქსულია. სამშობლო ქვეყნის უბედ-ილბლობისა გამო, ჩვენ არა გვაქვს, არ მოგვეპოება არც ერთი საზოგადო დაწესებულება, არც ერთი საზოგადო ორგანო, რომელიც უნდა ზრუნავდეს ამ გაბნეულ-გაფანტულთა შემოკრებაზე, ჩვენთან შეერთება-შეკავშირებაზე და იმაზეც, რომ ესინიც ჩვენთან ერთათ გაიმჭვალონ ერთი აზრით, ერთი ფიქრითა და მისწრაფებით. რადგან ამის მისაღწევათ სხვა ძალა არა მოგვეპოვება რა, ამიტომ აქ კერძო პირთა თაოსნობას, ინიციატივს დიდი და ფართო ასპარეზი ეშლება თეალ წინ. ყოველგან და ყოველთვის რაიმე ახალი საქმე კერძო პირისა და მის გარეშემო შემოკრებილ მცირე რაზმს დაუწყია, უთავებია. შემდეგ, დროის განმაელობაში, ეს მისწრაფება საზოგადოებაში გავრცელებულა, არე-მარეს მოჰფენია, და თვით საზოგადოებასაც ხელი ჩაუჭიდია. ჩვენშიაც ასე უნდა მოხდეს, თუ გვინდა, რომ ჩვენი ერი, ჩვენი გვარ-ტომობა უფრო არ დაიქსაქსოს და სრულიად არ გადაგვარდეს. ასე უნდა მოვიქცეთ, თუ მართლა გულითა და სულით გვრწამს ჩვენი ერის მომავალი...

ამ ჟამათ ზოგიერთთა ყურადღებას მივაქცევ შემდეგს: „კვალის“ № 49-ში ბ-ნი ზ. ჭ. ერთი ფრიად საყურადღებო წერილი დასტამბა, რომლიდანაც ჩანს, რომ ქართველობა სათათრეთშიაც ბლომათ ყოფილა დასახლ-კარებული. ავტორს, თავისი შეუძლებლობისა და ხელ-მოკლეობისა გამო, მხოლოთ ზოგი ცნობები შეუკრებია 5100 კომლის შესახებ. ამოდენა ქართველობას—სულობით რომ ვიანგარიშოთ, 15,300 სული მაინც იქნება—დღემდე თავისი ვინაობა დაუცავს და ენაც შეურჩენია, თუმცა მას მზრუნველი და გულ-შემატკივარი არავინ ჰყოლია. საჭიროა, რაიმე ვიღონოთ, რომ ამოდენა ქართველობა, ჩვენგან მოწყვეტილი, უცხო გვარ-ტომის ხალხში ჩათესლილი, ჩვენი სისხლი და ხორცი არ დაიკარგოს და არ გადაგვარდეს სრულებით. ამიტომ ჩვენი ვალდებულებაა, იმათი ვინაობა დაწვრილებით შევიტყოთ, მათზე მეტი ცნობა ვიქონიოთ და, რაც შეიძლება მალე, დახმარება აღმოვუჩინოთ და ვიზრუნოთ.

აქ კი ჯერ-ჯერობით ყველაზე უფრო ნაყოფიერათ შეეძლებათ იმოქმედონ ჩვენმა შეძლებულმა პირებმა. ზაფხულობით დროს გასატარებლათ, ვინ იცის, სად არ მიდიან ეს შეძლებულნი. ამის მაგივრათ კი უფრო სახეირო იქნებოდა ანატოლიაში ემოგზაურათ. ბუნება და მდებარეობა ამ მხარისა ფრიად მრავალ-გვარი და საუცხოვოა. მოგზაური იქ ბევრ გვარსა და კარგ შთაბეჭდილებასა და სიამოვნებას მიიღებს. ამავე დროს ეს მოგზაური ჩვენს ერსაც დიდ სამსახურს გაუწევდა მით, რომ მიმოივლიდა და დაათვალიერებდა ქართველების სოფლებს, შეკრებდა მათ შესახებ ცნობებს, შეგვატყობინებდა იმათ რაოდენობას და აგვიწერდა იმათ ზნეობრივსა, გონებრივსა და ქონებრივ მდგომარეობას, ჭირსა და ვარამს. შემდეგ, როცა ყოველივე გვეცოდინებოდა, ქართველი ინტელიგენციას და საზოგადოებას შეეძლებოდა რაიმე დახმარება და შემწეობა აღმოეჩინა.

პირველი დახმარების აღმოჩენა აქაც კერძო პირებს და შეძლებულ მემამულეთ შეეძლებოდათ. თუკი ვილაც ვადამთიელები და, ვინ იცის, რა ჯურის ხალხი ჩვენში შემოდის ყოველ დღე და გვეხიზნება, ნუ თუ ჩვენი მემამულენი (მაგ. ქართლში და ბორჩალოში) ვერ შეიძლებდენ, რომ ეს ჩვენი სისხლი და ხორცი ქართველობა თავიანთ მიწა-წყალზე დაესახლებიათ? ეს მემამულეთათვის ადვილიც იქნებოდა და სახეირო, სასარგებლოც. ამავე დროს კი მთელ ქართველობას დიდსა და შესამჩნევ სამსახურს გაუწევდენ და ჩვენს გვარ-ტომობას გააძლიერებდენ. დღეს ვინ არ იცის, რომ ერის ძლიერებას მისი რაოდენობაც შეადგენს; დაცვა და არ-გადაშენება ამა თუ იმა ერისა მის რაოდენობაზეც არის დამოკიდებული.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი შეძლებული პირები და მემამულენი ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ და, ფულების ტყუილა უბრალოთ ფლანგვის მაგივრათ, ამ სასარგებლო საგანს მოჰკიდებენ ხელს და საერო საქმეს ამ მხრით მაინც დაეხმარებიან.

ფხს.

## სხვა-და-სხვა ამბები

### ქართლ-კახეთის გალობის კილო, გადაღებული ნოტებზე იპოლიტოვ-ივანოვისაგან.

ამ თვის 7-ს თფ. სასულიერო სემინარიის ეკლესიაში, მისი ყოვლად უუსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით, ქართული წირვა იყო დანიშნული. ამ წირვაზე უნდა ეგალობნათ ქართულად ოქროპირის წირვის საგალობლები, რომლებიც გადიღო ნოტებზე იპოლიტოვ-ივანოვმა.

როგორც მოგეხსენებათ, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზმა ალექსანდრემ განიზრახა, გადაეღებინებია თავისი ხარჯით ქართული საეკლესიო საგალობლები ნოტებზე. ეს საქმე იკისრა იპოლიტოვ-ივანოვმა იმ პირობით, რომ, თუ ის რიგიანათ აღასრულებდა ამ მინდობილებას და კონსერვატორიაც მოიწონებდა მის მიერ გადაღებულ საგალობლებს, მას უნდა მიეღო ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესაგან ორასი თუმანი. ამ ფულიდან მან ორმოც-დაათი თუმანი კიდეც მიიღო წინ-და-წინ.

იპოლიტოვი შეუდგა საქმეს და მღვდლის მ. კარბელაშვილისა და ზოგიერთი სხვების დახმარებით, გადიღო ქართული საეკლესიო საგალობლები. მაგრამ, როცა შეიმუშავა თავისი ნოტები, მის ნაცვლად, რომ კონსერვატორიისთვის წარედგინა განსახილველად, პირდა-პირ უუწმინდეს სინოდში წარადგინა. უუწმ. სინოდს გაუგზავნია ეს ნოტები ცნობილი მოსკოვის პროფესორის ტანეევისათვის და მოუთხოვია მისი აზრი. პროფესორს მოუწონებია და ძრიელ უქია ეს საგალობლები. უუწმ. სინოდს მაინც კიდე აულია და საქართველოს ეგზარხოსისთვის გამოუგზავნია და მისი აზრის შეტყობა უსურვებია.

მისმა მაღალ ყოვლად უუსამღვდელოესობამ თავის მხრით მოახდინა განკარგულება, რათა 7-ს ამ თვეს თფ. სემინარიაში აღესრულებიათ ქართულ ენაზე წირვა და ეგალობნათ ახლათ გადაღებული ნოტებით. წინა დღით ეს ამბავი გამოცხადებული იყო გაზ. „ივერია“-ში ქართველი საზოგადოების საყურადღებოთ.

სამწუხაროთ, წირვა საქმის დღეს იყო დანიშნული და ისიც ძრიელ ადრე, ასე რომ, რასაკვირველია, ბევრნი ვერ დაესწრენ.

წირვა აღასრულა ღვდელმა მ. ბერძნიშვილმა. ახალ ნოტებით გალობდენ ხუთი, თუ ექვსი სემინარიის შეგირდი, მამა კარბელაშვილის ლოტბარობით.

ჩვენის აზრით, ძრიელ კარგი იქნებოდა, 1) რომ მოხსენებული ნოტებით გალობა მიენდოთ ისეთ მგალობლებისათვის, რომელნიც უფრო დახელოვნებული არიან ნოტების ცოდნაში, ვიდრე სემინარიის შეგირდები; 2) წირვა დაენიშნათ უქმე დღეს, რათა ყველას შეძლებოდა დასწრება, ვინც-კი ისურვებდა; 3) საჭირო იყო ამასთანავე ამ მძიმე და ფრიად საყურადღებო საქმის გადასაწყვეტათ, მოეწვიათ ყველა ჩვენი ეპარქიებიდან თითო-ოროლა საეკლესიო გალობის საუკეთესო მცოდნე პირნი და იმათი აზრიც მოესმინათ.

მაინც კიდევ ახლათ გადაღებული ქართული საეკლესიო გალობის დასწრე საზოგადოებამ სიამოვნებით მოისმინა და სასურველია, იპოლიტოვის მიერ შედგენილი ნოტები დასტამბულ იქმნენ.

გ. წყალტუბელი.

***

წარსულ დიდ-წყლობაზე ვაკე იმერეთში შესანიშნავი ამბავი მოხდა. როცა ხმა გავარდა, წარღვნა მოვიდაო, ხალხმა თურმე მიატოვა ყოველიფერი და გაიქცა, თანაც ცოლშვილი წინ წაირეკა. მოვარდა წყალი, სახლები დააქცია და შინაური წვრილ-ფეხი ფრინველი და ოთხფეხი პირუტყვი სულ დახვეტა. რაც ვაკე იმერეთში, განსაკუთრებით რიონის პირათ, მდებარე სოფლებში, ბატი და იხვი იყო, სულ ერთიანათ გაყვა წყალს და ფოთის მიდამო თურმე ბატებითა და იხვებით აივსო. როცა ჩამოვარდა წყალი, საჯავახოს მოხვეულში მიასილა აუარება რქიანი პირუტყვები, რომლებიც სწორეთ შავ ჯირკებათ ეჩვენებოდათ გამვლელ-გამომვლელებს

## სოფელი და სასოფლო შკოლა

### გერმანიაში.

შეიძლება იკითხოთ: რა ნაირ წყობილებას ექვემდებარება ერის მართვა-გამგეობა? ზევით მოვიხსენიეთ, რომ ფრანგთა ზედ-გავლენით გერმანიაში გავრცელდა თავისუფალი მოაზრება. 1830 წ. ხალხმა ზოგიერთი სამეფოების მთავრობას ძალა დაატანა შემოეღოთ წარმომადგენელთა კრება და პოლიტიკური თავისუფლება (მაგ. საქსონიას, ბადენს და სხ). 1848 წ. პარიჟის თებერვლის რევოლიუციას გამოეხმაურა მთელი გერმანია. აქაც აჯანყდა ხალხი. ბერლინის ქუჩები შეიღება რევოლიუციონერთა სისხ-

ლით. პრუსიის მთავრობა დამარცხდა და ძალა-უნებურათ შემოიღო ახალი წესები. შემდეგ ნელ-ნელა მთელი გერმანია დაადგა ახალ გზას შესახებ კითხვისა: ვინ უნდა მართოს ხალხი? ძველი წყობილების მომხრენნი უგებდენ: მეფემ და მისმა მოხელეებმაო; ცვლილების მომხრენი კი ამბობდენ, ხალხი უნდა მართოს თვითონ ხალხმაო. აი, ამ ახალ დედა-აზრმა გაიმარჯვა. როგორც დასავლეთ ევროპაში საზოგადოთ, ისე გერმანიაში კერძოთ. *) აქ ეს წყობილება ისატება სამ დაწესებულებაში: საბჭო, ლანდტაგი და რეიხსტაგი. პირველი განაგებს სოფლის, თუ ქალაქის საქმეებს; მეორე ყოველ სამეფო-სამთავროში (ბავარია, პრუსია, საქსონია და სხ.) შედგება ხალხის ამორჩეულთაგან და განაგებს ადგილობრივ საქმეებს; მესამეში კი მთელი გერმანიის ხალხია წარმომადგენელი და განაგებს მთელი გერმანიის საქმეებს. ეს უკანასკნელი ბერლინში იმყოფება. ზემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებანი ერის უფლებაზე არიან აშენებულნი, ხალხის მხრივ. მთავრობის მხრივ ასეთი წყობილებაა: ყოველ, წინათ დამოუკიდებელ მხარეებში, დარჩენილა მეფე, ან მთავარი. ამათ აღარა აქვთ ყველა ის უფლებები, რომელნიც გერმანიის შეერთებამდინ ხელთ ეპყრათ. თვითოეული მათგანი ნიშნავს წარმომადგენელს, რომელთა კრება მართავს იმპერიის საქმეებს. რეიხსტაგის ყოველი გადაწყვეტილება მათ ხელში გადადის, მიიღებს ან უარს ჰყოფს. ამას უწოდებენ „მოკავშირეთა საბჭოს“. (Bundschaft) და იმყოფება ბერლინში. ამის უფროსია გერმანიის იმპერატორი. იმპერატორს უფლება აქვს რეიხსტაგი სამხელ დაითხოვოს, თუ ის ისეთ რასმეს აკანონებს, რაც მას არ მოწონს, ხოლო მეოთხე-ხელ კი იმპერატორი უნდა დამორჩილდეს.

ასეთია გერმანიის გაერთების მოკლე ისტორია. ცხადია, მისი მეოთხედი საუკუნის ერთობა ვერ გააქრობდა იმ მრავალ ნაირ განსხვავებითი თვისებებს, რომელნიც საუკუნოების დანაწილებამ ჩაწნა გერმანელთა არსებაში. ეს განსხვავება პირველათ ეხება ენას. გერმანიის თითოეული კუთხე საკუთარ დიალექტზე საუბრობს. მათ შორის ისეთი განსხვავებაა, რომ საქსონელს უჭირს ვიურტემბერგელის გაგება და პრუსიელს ბოვარელის. შტუტგარტის ერთ ნაცნობ პრუსიელ ვაჭარმა მითხრა: „აქაური დიალექტის უცოდინარობის გამო იძულებული ვიყავი პრუსიიდან წამოყვანილი ნოქრები დამეთხოვა და ვიურტემბერგელნი ამეყვანა, განსაკუთრებით დაბალი ხალხის ლაპარაკი სრულიად არ მესმისო“. ერთი სიტყვით, მთელი გერმანია სხვა-და-სხვა დიალექტზე ლაპარაკობს. ლიტერატურული ენა დაცულია ჰანოვერში და ჩრდილოეთის ზოგ პატარა პროვინციებში. ამ ენას თავისი ისტორია აქვს. ისტორიულ წარსულში ის იყო ისეთივე დიალექტი, როგორც დღეს ყველა დანარჩენნი. 1521—34 წ, დიდ რეფორმატორ ლიუტერმა პირველათ დაიწყო დაბადების გადმოთარგმნა გერმანულ ენაზე. მაგრამ აქ საშინელი დაბრკოლება წინაალუდგა. გერმანიის ხალხი საუბრობს სხვა-და-სხვა გერმანულ ენაზე, რომელნიც თავს იყრიან სამ უმთავრეს შტოში. სამხრეთ, შუაგულ და ჩრდილო, ანუ მაღალ გერმანულში. რომელ ენაზე გადაითარგმნოს? რომელი შტო იძლევა ისეთ თვისებებს, რომელთა შემწეობით ის მომავალში საერთო გერმანულ ენათ გახდება? ლიუტერმა არჩია მაღალ-გერმანული (Hochdeutsche) და მით უდიდესი ღვაწლი გაუწია სამშობლოს ერთობას. ლიტერატურაში ის პირველათ ლესინგმა და გიოტემ შეიტანეს, შემდეგ თანდათან განვითარდა და შეიქმნა იმათ, რასაც ჩვენ ვუწოდებთ გერმანულ (ლიტერატურულ) ენას. თუ კი გერმანელთა ერთობის ეს გარემოება (სხვა-და-სხვა დიალექტი) რამოდენიმეთ ხელს უშლის, სამაგიეროთ მეორე გარემოება ხელს უწყობს. ეს ქვეყანა დანაწილებულია ეკონომიურათ, ე. ი. სხვა-და-სხვა კუთხეში წარმოების სხვა-და-სხვა დარგია განვითარებული. სამხრეთ-აღმოსავლეთი უფრო მეურნეობის ნიადაგზე დგას. შუა გულის, ჩრდილოეთის და დასავლეთის დედაბოძი მრეწველობაა. ამით ეს მხარენი ნივთიერათ ერთი-მეორისაგან დამოკიდებულია. რადგანაც თითოეული კუთხე თავის საკუთარ მმართველობას ექვემდებარება, აშკარაა, კანონ-მდებლობაც სხვა-და-სხვა უნდა იყოს. რაც რომელიმე დაწესებულება ელემენტარული და პირველი დაწყებითია, მით უფრო განირჩევა ერთმანეთისაგან. სასოფლო შკოლა სხვა-და-სხვა ნაწილში სხვა-და-სხვა წესებს ემორჩილება. აქედან ცხადია, ლაპარაკი საზოგადოთ გერმანელ სოფლის და შკოლის შესახებ შეუძლებელია. ეს ვერ აღბეჭდავს სინამდვილეს. შესაძლებელია საუბარი მხოლოთ ამა თუ იმ ნაწილის ავ-კარგიანობაზე და არა მთელ გერმანიაზე. ჩვენ აქ მკითხველს გავაცნობთ ვიურტემბერგის სოფლის ცხოვრებას. ეს შეადგენს გერმანიის ერთ პატარა სამეფოს, ქალაქ შტუტგარტში თავ-მოყრილია მისი მართვა-გამგეობის მართულები. ვიურტემბერგი ეკონომიური განვითარების საფეხურზე არ დგას ისე მაღლა, როგორც მისი ჩრდილო მოსაზღვრე საქსონია და არც ისე დაბლა, როგორც მისი აღმოსავლეთით მდებარე ბავარია. ვიურტემბერგის სახალხო შკოლა ვერ არის ისე უმაღლეს წერტილა-

---

*) ეს დამყარებულია შემდეგ სამ დაურღვეველ უფლებაზე: თავისუფლება ბეჭდვის, თავისუფლება სიტყვის და თავისუფლება ყრილობის.

მდე მიყვანილი, როგორც ესსენში და არც ისე დაქვეითებულია, როგორც აღმოსავლეთ პრუსიაში. ამ რიგათ, ამ კუთხეს გერმანიის საერთო ცხოვრებაში შუათანა ალაგი უკავია. მაშასადამე აქაური სოფელი და სასოფლო შკოლა შუათანა ხარისხისას უნდა წარმოადგენდეს

საზოგადოთ, სოფლის ცხოვრების გასაგებათ საჭიროა ვიხელმძღვანელოთ რაიმე საზომით, ამის საშუალებით ერთი სოფელი მეორეს შევადაროთ, დავყოთ და გავაკეთოთ რამოდენიმე ჯგუფი. ასეთი საზომი უნდა იყოს ის ნამდვილი მოვლენა, რომელსაც ყველაზე უფრო დიდი გავლენა აქვს სოფელზე. ასეთი მოვლენაა შრომა ნივთიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. რით და რა ნაირათ ირჩენს თავს სოფელი? აი, პირველი კითხვა. ამის და გვარათ აქაურ სოფელთ დავანაწილებთ ოთხ ჯგუფათ: პირველს შეადგენენ ის სოფლები, რომელნიც მდებარეობენ უმთავრესს ქალაქების ახლო-მახლო და მაშასადამე რკინის გზებთან (აქ ქალაქი ურკინისგზოთ არ არის); მეორეს—ისინი, რომელნიც მხოლოთ რკინის გზებთან ახლოს არიან. მესამეს ისინი, რომელნიც სახელმწიფო შარა-გზის პირათ მდებარეობენ, ხოლო მეოთხენი დაცილებულია ყველა ამებისაგან, ჩვენებურათ რომ გამოვხატოთ: მივარდნილი სოფლებია.

პირველი ჯგუფი: როცა თქვენ სოფელში შედიხართ ქუჩაზე მოტანტალე ბავშებს თუ დაინახავთ, თორემ სხვას ვერავის. ეტყობა ყველა აქეთ-იქით საქმეზეა. თქვენ ათვალიერებთ მხოლოთ სოფლის გარეგან წყობილებას. სახლები საზოგადოთ ერთ-სართულიანია, დგას მომაღლო ქვითკირის საძირკველზე და ერთის შეხედვით ორ-სართულიანი ჰგგონიათ. ფანჯრები დაბალი და ვიწროა. ეტყობა, ოთახიც საკმაოთ დაბალი უნდა იყოს. ასეთ ფანჯრებიან სახლის შესახებ ჩვენში იტყვიან ძველი მოდისააო. შენობა ხისაა, კედელი ზოგჯერ არის შელესილი. ორ-სართულიანი ქვის სახლი თუ დაინახეთ, ის უთუოთ რომელიმე ბურჟუას ეკუთვნის და არა გლეხს. ეზო და აივანი იშვიათია, პირდაპირ ქუჩიდან ადიხართ სახლში. ოთახები რამოდენიმეა, ეს დამოკიდებულია ოჯახის წევრთა რიცხვზე, მაგრამ ორ ოთახზე, ნაკლებ კი აღარ შეიძლება. ოთახში სკამები, სტოლი, კედლის საათი, ხშირათ დივანი ფერადი ბალიშებით და წინ დაგებული ხალიჩით. კედელი უთუოთ მოქაღალდებულია. სახლის მოწყობილება თითქმის ისეთია, როგორიც შვეიცარიელი გლეხის, შენობები კი უკანასკნელის ჰჯობს. ერთ სოფლელს ვკითხე, რატომ ხის სახლები აგიშენებიათ და არა ქვისა მეთქი, „ხე აქ უფრო იაფია, ვინემ საშენი ქვაო—დიდრონ შუშიანი ფანჯრები კი ძვირათ დაჯდებაო“ მომიგო მან. ქუჩებზე, აქა-იქ, შადრევანიდან ამოჩუხჩუხებს ანკარა წყალი, აგრეთვე შენიშნავთ დუქნებს საფართლოს, საწვრილმანოს, სახაბაზოს და სხ. ყავახანები კი მრავალია. რაც უნდა პატარა სოფელი იყოს 4—5 ყავა-ხანა მაინც იქნება. ეს არის ერთადერთი ალაგი, სადაც თავსდება ყოველ ნაირი დროს გატარება. აქ იმართება საცეკვაო სალამო, საქორწილო მეჯლიში, საზოგადოებათა კრება, პოლიტიკური ყრილობა, დავა, ბჭობა, აზრთა შეჯახება და სხ. და სხ. კვირა-უქმე დღეს აქ მოდის გლეხი ცოლშვილით და ხშირათ შუაღამემდე რჩება. ერთ მაგიდას გარეშემო რამოდენიმე ნაცნობი ოჯახია შემომწკრივებული. სმენ ლუდს, როგორც კაცები, ისე ქალები და ბავშები, მუსაიფობენ, მღერიან და ისე ამ ნაირათ ერთობიან. ასეთ საოჯახო შეკრებილებაში ვერ გაიგონებთ რაიმე საქმეზე ლაპარაკს, ჩხუბს აურ-ზაურს, აქ მხოლოთ ისმის ხუმრობა, სიცილი, და მხიარულება. დღიური ვარამი, ათას ნაირ გაჭირებაზე ფიქრი დროებით მიტოვებულია. მოქალაქენი კვირაობით სოფლათ გადიან სასეირნოთ, ჰაერის ჩასაყლაპავათ, ესენიც სოფლის ყავა-ხანის სტუმრებია, ასე რომ ყავა-ხანაში ტევა აღარ არის, ქალი, კაცი, ბავში ბუზივით ირევა. ყოველ ყავა-ხანას რაიმე სახელი ქვია, უმეტესათ ცხოველის და მნათობების, მაგ. ერთს აწერია „ყავა-ხანა ძროხის“, მეორეს „თხის“ მესამეს „მზის“ და სხ. არა თუ ყავა-ხანას, ქალაქებში აფთიაქებსაც მაგ ნაირ სახელს არქმევენ. როცა ერთს გამოვკითხე ამის მიზეზი, მან მომიგო, ეს იმიტომ რომ ერთი-მეორისაგან გავარჩიოთო.—კი მარა რაღა მაინცადამაინც თხის და ძროხის სახელწოდებით უნდა გაარჩიოთ მეთქი.—ეს ძველი გერმანული ჩვეულებაა და არას გვიშავებსო. ყავა ხანა არის არა თუ შუა სოფელში, არამედ გზის პირათაც გამვლელ-გამომვლელთათვის. თუ მიახერხებულ ალაგას არის, კვირას დიდძალი მუშტარი ყავს. ესენი განსაკუთრებით კარგ შენობებშია გამართული, ზოგი ქალაქის საუკეთესო ყავა-ხანასაც არ ჩამოუვარდება სიკოხტავით და მიმზიდველობით. სოფელში ხედავთ აგრეთვე შკოლის შენობას. ისეთი სოფელი არ მინახავს, სადაც შკოლა ორ-სართულიან ქვის შენობაში არ იყვეს მოთავსებული. ერთ კლასიანი შკოლა ქალაქის ახლო-მახლო სოფლებში არ შემხვედრია. მაგ. სოფ. ფოერბახში სულ რვაასი სული მცხოვრებია, შკოლა კი სამ მასწავლებლიანია. ამის შესახებ შემდეგ ვრცლათ გვექნება ლაპარაკი.

საზღვარ-გარეთელი.

(შემდეგი იქნება)

## საყურადღებო ამბები

ნიაღვრობა იმერეთში: აქეთკენ 27 ღვინობისთვეს დაიწყო კოკისპირულათ წვიმა და გასტანა 1 გიორგობის თვემდე. ამ მუდმივმა წვიმებმა პატარა მდინარე-ღელეები ისე აადიდა, რომ მომსწრეთა სიტყვით არავის ახსოვს ასეთი მათი ადიდება და ამ ადიდებას მოჰყვა ბევრი ზარალი ყველგან. მთა-კლდეებიდან ჩამონარბენი ნაკადულები და მდინარე-ღელეები დიდ მდინარეებს დაეგვანენ, შეუერთდენ ისეთაც ადიდებულ მდ. ყვირილას და ათი იმდენი გახადეს. გზაზე ამ აზვირთებულ ადიდებულს მდინარეს რაც ხვდებოდა, ანგრევდა და ხვებს თხრიდა: ხვები, ვენახები, შენობანი, სახლები, რკინის გზის სადგურები (შორაპნის), რკინის გზის ლიანდაგები სულ მისი მსხვერპლი შეიქნა. შაბათს 28 ღვინობისთვეს ნაშუადღევს მდ. ყვირილა ისე აზვირთებული მოვარდა ზესტაფონში, რომ ბევრ შენობებს დაუწყო ნგრევა. მეტათ მიაწვა წყალი მარჯვენა მხარეზე ხიდის ბურჯს და მასთან ახლო მდებარე ქვითკირის დუქნებს თუთბერიძისას. რადგან დიდხანს ხიდის თავს და ქვითკირის დუქნებს წყალმა ვერაფერი დააკლო და თანდათან კი მატულობდა, ამიტომ გადავიდა რკინის გზის ლიანდაგზე. ეს რომ გაიგეს რკინის გზის ლიანდაგის ქვევით წყლის ნაპირას მცხოვრებლებმა და მედუქნეებმა, მიატოვეს ბინა სხვა-და-სხვა ავეჯი და ზევით მიაშურეს. ბევრმა მედუქნეებმა კი დუქნებიც დაცალეს დილის პირველ საათამდე ისე მოიმატა წყალმა, რომ ხიდს აცილდა, მერე კი აზვირთებული ისე ღონივრათ მიაწვა ხიდის ბურჯს და ქვითკირის დუქნებს, რომ ერთბაშათ ჩაანგრია და წაიღო. ამათ დაქცევას მოჰყვა იქვე ხუთი-ექვსი დუქნის და ვაჭ. ცერცვაძის ორ სართულიანი სახლის დანგრევაც. ამის დანახვაზე შეშინდენ მცხოვრებლები და დაუწყეს სახლებს და დუქნებს დაცლა. ამას შემდეგ ცოტათ წყალმა დააკლო და ხალხიც დამშვიდდა. ჩვენ გვეგონა ამდენ უბედურებას გვაკმარებდა ღმერთი, მარა მოვტყუვდით. კვირა საღამოს ისევ კოკის პირული წვიმა დაიწყო და სამშაბათს შუადღემდე იწვიმა; ახლა უფრო ადიდა მდ. ყვირილა და კიდევ ხუთმეტამდე დუქანი და სპირია გაჩეჩილაძის ორ სართულიანი სახლიც იმსხვერპლა. ამან სულ უფრო შეაშინა ხალხი. წყლის ნაპირას მცხოვრებლებმა თვითონვე დაანგრიეს სახლები, რომ წყლისათვის მაინც არ გაეტანებიათ. სამშაბათს ნაშუადღევს წყალმა ძლიერ მოიკლო და კიდეც გამოიდარა; მარა რა გამოვიდა, როცა ნახევარი ზესტაფონი წალეკილია! ახლა აქაურები სასოწარკვეთილებას მისცემიან და ზესტაფონის უბედურებას მოთქვამენ: „ამდენ ხანს ვაჭრობის დაცემას ვტიროდით და ახლა სულ დავიღუპეთო“. ერთათ ერთი ხიდი, შემაერთებელი ზესტაფონის აქეთა მხარისა იქით მხარესთან, მოგვესპო და გვეღირსება თუ არა როდისმე ღმერთმა უწყის. არც წირვაა ჩვენთვის და არც ლოცვა (აქეთა მხრის მცხოვრებთათვის). რაც ზესტაფონს ზარალი მოუვიდა, თითქმის უარესი სხვა სოფლებ-ქალაქებს დაემართათ, უფრო ქვემო იმერეთში. იმედია მთავრობა ასეთს ჩვენს უბედურებას ყურადღებას მიაქცევს და შემწეობას აღმოუჩენს დაზარალებულთ.

ს. ჯინ - ლი

---

## მახვილი თუ ინდუსტრია?..

მაიძვერა გმირებისთვის
ეს ქვეყანა თეატრია!..
თვალთმაქცობენ და ჰყვირიან:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

ვისაც ქვეყნის ნაცოდვარი
ჯიბეში სქლათ ჩაუყრია,
ის ყველაზე მეტათ ჰყვირის:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

ჰკუა-მწყრალი, ლიბერალი,
კუჭისთვის რომ მოაზრია,
ბანზე აგდებს სიტყვებს!.. ჰყვირის:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

ქურდი თხლეზე დაჭერილი,
პატრონს რომ ზედ მიუსწრია,
თავს იმართლებს და იძახის:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

შეხიზნულებს ჩვენს ოჯახში
სამტროთ თავი მოუყრია:
აღარ გვზოგვენ, ჩვენ კი ვფიქრობთ:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

რაზედაც ჩვენს მამა-პაპებს
ოფლი სისხლათ დაუღვრია,

წაგვართვეს, და ჩვენ ვიძახოთ:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?!..

—

ვისაც ჩვენი ქვეყნისათვის
ცოცხლათ ტყავი გაუძვრია
რა ნება აქვს, რომ იძახოს:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?!

—

ვინც პირადის ანგარიშით
ჩვენი წმინდა ამლვრია,
აქვს უფლება იძახოდეს:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?!

—

ვინც აფასებს მხოლოთ იმას,
ვისაც თავი მოუხრია
განა შვენის იძახოდეს:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?!..

—

ვინც სდევნიდა ყველა კარგ კაცს,
რომ კბილები ჩაემტვრია,
დღეს ნება აქვს, რომ იძახოს:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?!..

—

ვფიცავ ღმერთსა, ღმერთსა ვფიცავ,
ეს ქვეყანა თეატრია:
ყველა სტყუის, ვინც იძახის:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

მხოლოთ კენჭებს ვინც აგროვებს,
ან იყრის და ან უყრია,
იმას შვენის, რომ იძახოს:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

ლიბერალო! შე საბრალო!
რად აჩქარდი? ჯერ ადრია!
კენჭობის დროს უნდა გეთქვა:
„მახვილი, თუ ინდუსტრია“?..

აკაკი

## კუდიანი ღრუბელი.

(смерчъ)

კუდიანი ღრუბელი წარმოადგენს ბუნების შვენიერ და შესანიშნავ მოვლენას. დიდ ხანს ფიქრობდენ, რომ კუდიანი ღრუბელი გრიგალივით მავნებელია და საშიშარი ზღვაოსანთათვის, მაგრამ ეს ტყუილი გამოდგა. კუდიანი ღრუბელი ყოვლად უვნებელი რამ არის. ადმირალ მუშეს ბევრჯელ ჰქონდა შემთხვევა ენახა ეს ღრუბელი და მის ქვეშ გემი გაეტარებინა, მაგრამ არც ერთხელ ზიანი არა მოუვლია-რაო, ხოლო კი გვაპკურებდა ორთქლითა და წყლის თქორითაო. კუდიანი ღრუბელი იმითი იწყება, რომ ცაზე გამოჩნდება ვეებერთელა სქელი და შავი ღრუბელი, რომელიც ქვევით მიწისაკენ ჩამოეშვება ვეებერთელა ძაბრივით; იმავე დროს ზღვის პირიც აქათქათდება, თითქო დუღდეს, და წყალი ძაბრის მსგავსათ ზვავით-ზვავით ადის. შემდეგ ორივე ძაბრები ერთმანეთს შეხვდებიან და შეერთდებიან.

ასე შეერთებული სვეტი გასტანს 6—20 წუთამდე, მერმე წყლის სვეტი დაეცემა. ჰაერისა და ღრუბლის კი დაეხვევა დიდ გრეხილათ. კუდიანი ქარი გამოჩნდება მხოლოთ მშვიდსა და წყნარ ტაროსის დროს. ამ გვარი ქარი ხმელეთზედაც მოხდება ხოლმე და მაშინ სვეტი წყლისა კი არა, მტვრისა იქნება. კუდიანი ღრუბლის გამოჩენის მიზეზათ სხვა და-სხვა რამე ასახელებენ. წინეთ ეგონათ, რომ ელექტრონია მიზეზი კუდიანი ღრუბლისა ახლა კი მიღებულია აზრი ფაიასი, რომელიც ამ მოვლენის მიზეზათ ჰხადის ჰაერის ტრიალს.

კუდიანი ღრუბელი შეიძლება ხელოვნურათაც გამოიწვიოს კაცმა. ამისათვის საჭიროა, ძლიერი ვენტილიატორი (ჰაერის სასუფთავებელი), რომელიც მოძრაობაში მოდის ორთქლის ზეგავლენით, მოთავსებულია ერთ საჟენზე მაღლა წყლიან ჭურჭელზე. ვენტილატორი დაიწყებს თუ არა ტრიალს, წყალიც ჭურჭელში აღელდება და მისი თქორი, სვეტივით მაღლა-მაღლა ადის და ვენტილიატორამდე მიაღწევს.

## შენიშვნის დამწერს

ამას წინეთ „კვალი“-ს მე-30-თე ნომერში იყო მოთავსებული ა. ენგურელის კორესპოდენცია შემდეგი სათაურით: ,,სამურზაყანოს ვითარება‘‘. როგორც გვახსოვს ბ. ენგურელმა, ცოტათ თუ ბევრათ, დაახასიათა საზოგადოთ სამურზაყანოს შკოლები, და მასთან კერძოთ შეეხო მ. იოანნე კავჟარაძეს, ზედამხედველს ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების შკოლებისას, რომელნიც სამურზაყანოში ითვლება, სულ სამი. მკითხველს არ მოვაბეზრებ თავს ამ კორესპოდენციის გარჩევით, მით უმეტეს, რომ რაც მასში არის აწერილი, დასაბუთებული, სიმართლეა.—ვინც ცოტათი მაინც თვალ-ყურს ადევნებს სამურზაყანოს ვითარებას, რწმუნებული ვარ, რომ, ის, არამც თუ რამე უმართ..ოს დაინახავს მასში, არამედ ზედაც ბევრს შემაძრწუნებელ ფაქტებს დასძენს. მე მხოლოდ, მინდა ამ დროებით გამოვებაასო მკითხველს მ. კავჟარაძის და მისს მოქმედების შესახებ, რომელიც გამოიწვია იმავე ჟურნალის საყურადღებო ამბებში მოყვანილ უსახელო შენიშვნამ ,,კვალის‘‘ № 38-ში. *) შარშან ზაფხულში დეკ. დავით მაჭავარიანი იყო სამურზაყანოში, რომელსაც მონდობილი ჰქონდა ახალ აშენებულ ეკლესიების დათვალიერება. მან, როგორც თავმჯდომარემ საეპარქიო სამოსწავლო რჩევისამ (Епар. учил. Совѣтъ), ისურვა დათვალიერება სამრევლო შკოლებისა და მასთან ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების შკოლისა დ. ოქუმში. როგორც შეგირდების გამოცდამ აღმოაჩინა, სამურზაყანოს შკოლებში ქართული საგნების სწავლა შეწყვეტილი ყოფილა, თუმცა მთავრობისაგან საქმით (ოფიციალურათ) არ ყოფილა აღკრძალული,—პირიქით დიდ ყურადღებას აქცევდა პირველ-დაწყებითი სწავლა დედაენაზე დაფუძნებულიყო სამურზაყანოში, რაც ცხადათ ჰჩანს, ერთი მხრით წიგნსაცავების გასინჯვის შემდეგ, სადაც მრავალი ქართული წიგნები, რვეულები და დედანებია და, მეორე მხრით, მე თვითონ ქართულ ენაზე დამაწყებინეს სწავლა ოქუმის შკოლაში. ამ გარემოებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ძლიერ დააღონა დეკანოზი, და მამობრივი სიყვარულით ჩააგონა მასწავლებელთ, რომ ქართული ენისათვის ცოტა შესამჩნევი ალაგი დაეთმოთ. თუმცა მე პირადათ არ დავსწრებივარ ამ ამბავს, მაგრამ სიბუთათ მოვიყვან, ერთი მხრით, ენგურელის კორესპონდენციას, რომლის ავტორი თან დაყვებოდა დეკანოზს და, მეორე მხრით, იმ გარემოებას, რომ როდესაც დეკანოზმა ინახულა ოქუმის შკოლა სოხუმის ოლქის უფროსის თანაშემწის დასწრებით, სადაც მეც გახლდით: მან მიმართა ზედამხედველს იმავე რჩევით, რითაც სოფლის მასწავლებელთ. ზედამხედველმა გულ-დადებით მოისმინა დეკანოზის სიტყვები და ფიცხლავ უბძანა იქავე მდგომ მასწავლებელს, თითო საათი დაეთმო დღეში ქართული ენისათვის. მასთან ისიც უბძანა, რომ შეედგინა სია იმ სახელმძღვანელო წიგნებისა, რომელნიც კი აკლდათ შკოლის წიგნ-საცავში. როგორც დეკანოზს მოახსენა, ეს სია უნდა გაეგზავნა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისათვის, და მასთან უნდა ეთხოვნა მათთვის, სიაში აღნიშნული წიგნები უფასოთ ებოძებიათ. წარმოიდგინეთ, ასეთი ქცევა მამა კავჟარაძისა ახალი ,,ფასონის‘‘ სემინარიზმი ყოფილა, ე. ი. სიტყვით დევ-გმირობა—საქმით კი მწერობა. (ეს სენი: სიტყვით ციხეების შენება, საქმით არაფრის კეთება, საზოგადოთ გავრცელებულია ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში და, ამიტომ ეს კიდევ მისატევებელი ცოდვაა, მაგრამ მ. კავჟარაძემ ეს როდი დაგვაჯერა, როგორც შევიტყობთ ქვეით). ოქუმის მასწავლებელმა იმ დღიდანვე დაიწყო რუსულთან ერთათ, ქართულ ენაშიც მეცადინეობა შეგირდებთან. ვნახოთ, გაიარა რამოდენიმე ხანმა, თურმე ნუ იტყვით, მასწავლებელსა და ზედამხედველს შორის რაღაც უკმაყოფილება ჩამოვარდნილა. არ ვიტყვი იმის შესახებ არაფერს, თუ ვინ იყო მათში მართალი და მრუდი, რადგანაც ეს კერძო ინტერესებს შეეხება, მხოლოდ ამას კი მოგახსენებთ, რომ ამ უთანხმოებამ გამოიწვია შეწყვეტა ქართული ენის სწავლებისა, შკოლაში. მამა კავჟარაძემ უმსხვერპლა კერძო ანგარიშებს საზოგადო საქმე. დიახ, მან გამოიჩინა ორი ყოვლად პატიოსანი უნარი- ცილის-წამება და გზირობა. ეს ხომ ნამდვილია ბატონო კავჟარაძე?!. როგორ მიბძანებთ,—გნებავთ რომ საბუთიც წარმოგიდგინოთ? გადაათვალიერეთ თქვენი ხელით ნაწერი მოხსენება (рапортъ) სოხუმის ეპისკოპოზისადმი, სადაც ცილი დასწამეთ საცოდავ მასწავლებელს, ვითომ, მას მიეცეს უპირატესობა, საგნების გადაცემის დროს, ქართული ენისათვის და რუსული კი მიეგდოს გვერდზე; გადაათვალიერეთ იანვარში წარდგენილი ანგარიშები, სადაც იმავე უჩივით მასწავლებელს; გადაათვალიერეთ საბერიოს შკოლის ჟურნალი, სადაც თქვენის ხელით აწერია, დაახლოვებით ასე: გიბრძანებთ (предлагаю) დღეიდან არ ასწავლოთ შეგირდებს ქართული ენა“. იქნება კიდევ გსურთ რომელიმე საზიზღარი ფაქტები ავალა-

---

*) № 38-ში არის ოქუმიდან პატარა შენიშვნა.

პარაკო თქვენ წინააღმდეგ?!. არა, ჯერ-ჯერობით ესეც კმარა მოსანელებლათ! ახლა ვკითხავ შენიშვნის დამწერს: რა გააკეთა მ. კავქარაძემ, „როგორც განვითარებულმა სულიერმა მამამ?“ მიბრძანეთ, ბატონო, რამ ჩააგონა მ. კავქარაძე, რომ ასე საზიზღრათ იქცევა?!. მთავრობას ხომ ვერ მოიყვანთ მიზეზათ,— რაც ცილის-წამებაა! გადასინჯეთ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების წეს-დება შკოლების შესახებ: თქვენ დაინახავთ იქ პირველ დაწყებითი სწავლის გავრცელებას დედა-ენაზე, და არა მის მოსპობას. მიბძანეთ, რომელ საკეთილო საქმეში გამოიჩინა მამა კავქარაძემ „ენერგია და გულშემატკივრობა?„ (მე მგონი, დიდი საძნელო საქმე არ იყო შეესრულებია ის, რაზედაც მიუთითა მთავრობამ, სხვას ჩვენც არ ვთხოვდით.) იქნება ჩნის მიგაჩნდესთ აღმატებულ ღვაწლათ მ. კავქარაძის მხრით, რომ მის მეოხებით დღეს არამც თუ ოქუმის შკოლაში არის მოსპობილი ქართული ენა, არამედ სამრევლო შკოლებშიც. (სოფლის მასწავლებელნი, როგორც მაცნობეს, შეშინებულნი არიან, რამე ხათაბალაში არ გაგვახვიოსო). მართლაც, რომ დიდი ღვაწლია,—მხოლოთ წინააღმდეგი სინიდისისა და ადამიანის დანიშნულებისა,— და წინამორბედი უვიცობისა. ენგურელის წერილში ცოტაოდნათ იყო დახასიათებული მ. კავქარაძის მოქმედება, და, წარმოიდგინეთ, იმასაც ფარდას აფარებს ვიღაც! მისი მოკეთე

ა. ოქუმელი



ტ ე ს ლ ა ს ც დ ა.

## ტესლას ცდა.

ამ უკანასკნელ ხანამდე ელექტრონობა ფიზიკოსებისათვის განცალკევებულ და საიდუმლო მოვლენას წარმოადგენდა. ბოლოს კი, ეს რამოდენიმე წელია, ბონის ფიზიკოსმა გერცმა უტყუარათ დაამტკიცა, რომ ელექტრონობა, როგორც სინათლე და სითბო, სხვა არა არის-რა, თუ არ იგივე ზვირთებისებური მოძრაობა მსოფლიო ეთერისა. ამას შემდეგ ამერიკის ელექტრო-ტეხნიკი ნიკოლა ტესლა კიდევ უფრო შორს წავიდა. მან დაამტკიცა, რომ მეტი ტოკვის (**колебаніе**) მექონე ელექტრონული ჭევლი უფრო სხვა ნაირათ მოქმედებს, ვიდრე ნაკლები ტოკვისა. ჭევლი, რომელიც ათჯერ უფრო ძლიერია ვინემ ის ჭევლი, რომლითაც ახლა ამერიკაში დამნაშავეთა კლენ, სრულიად უზიანოთ გაივლის კაცის სხეულში, თუ კი ეს ჭევლი წარმოუდგენელი სიჩქარით იცვლის მიმართულებას, მაგ. 100000-ჯერ წუთში. რადგან ეს ასეა, ამიტომ ადვილათ შეგვიძლია ადამიანთა მთელ გუნდში გავატაროთ ელექტრონული ჭევლი და თუ ამ დროს სულ უკანასკნელ კაცს ხელში ასანთები ლამპარი უჭირავს, ეს ლამპარი აინთება და ლაჟვარდ, ცის ფერ ნაპერწკლებს გამოისვრის.

## ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან

(შემდეგი*)

მეფემ დაიბარა ჯარის კაცები. მან დაასახელა ზოგიერთი წარჩინებული თავადიშვილების გვარები და უბძანა ჯარის უფროსებს, რომ ახლავე წასულიყვენ ამ ერთგულ თავადიშვილებთან და მოეყვანათ ისინი თავიანთი ამალით სასახლეში. ჯარის უფროსებმა სისწრაფით აასრულეს მეფის სურვილი. არ გასულა ბევრი დრო, რომ მეფისაგან დაბარებული დიდ-კაცობა სასახლისაკენ მიისწრაფებოდა. ეს თავადიშვილები და მათი ამალა სალხინოში მოგროვდენ. აქ ერთი—ერთმანეთს კითხვა დაუწყეს: რა უნდა იყოს მიზეზი, რომ ასე უდროოთ აქ, სასახლეში, შეგვყარაო? ყოველი მათგანი დიდის აღშფოთებით და გულის ძგერით ელოდა მეფის დანახვას. ამ მოლოდინმაც ბევრი დრო არ გასტანა. ნაზირ-ვეზირებმა მოახსენეს ერეკლეს, რომ დაბარებული დიდ-კაცობა სულერთიანათ სალხინოში იმყოფება და მეფის განკარგულებას ელისო. ერეკლეს ბძანებით, მოსამსახურეებმა გააღეს სენაკის კარები და მოიწვიეს მეფესთან პირველი წარჩინებული თავადიშვილი. [1]) აი რა სურათი წარმოუდგა მას თვალწინ: ხატების თახჩას, რომელიც იმყოფებოდა ოთახის თავში, ფარდა გადახდილი ჰქონდა; ხატების წინ ესვენა წმიდა სახარება, ამის მარჯვენა მხარეს იდგა მეფის მოძღვარი, სრულიად შემოსილი, მას მარჯვენა ხელში ჯვარი ეჭირა. ცოტა მოშორებით იდგა თვით მეფე ერეკლე მრისხანე სახით. სენაკის კუთხესთან იყვენ ორი შეიარაღებული ჯარის კაცი, ხანჯლის ტარზე ხელებ დაწყობილი. თავადიშვილმა რომ ეს სურათი დაინახა, ძალიან შეკრთა და ერთალაგას გაჩერდა; შიშის ზარმა აიტანა და არ იცოდა, რა ექნა. მეფე ერეკლემ მიმართა ამ თავადიშვილს და მრისხანეთ უბძანა: „წინ წამოდექ“!

იგი კრძალვით და მოწიწებით წარდგა მეფის წინაშე.

ამას შემდეგ მეფემ მაღალის ხმით ჰკითხა: „შენ ჩემი ერთგული ხარ“!

—ჩემო ხელმწიფევ!—დიდის აღელვებით უპასუხა თავადიშვილმა, ამას რას მიბრძანებთ... დედამიწა უნდა გასკდეს და შიგ ჩამიტანოს, თუ მე როდისმე თქვენს ორგულობაზე ვიფიქრო...

—მაშ, შეგიძლიან, შენი უკანასკნელი სისხლი სხვერპლად შემომწირო? ხელ-მეორეთ ჰკითხა ერეკლემ.

— ღმერთს გეფიცებით, დიდებულო მეფევ, ჩემი უკანასკნელი სისხლი ყოველთვის სხვერპლია თქვენი. სიცოცხლეს მე თქვენთვის არ დავზოგავ.

—მაშ თუ აგრეა, თქვა მეფემ, მოდი და დაიფიცე ჯვარსა და სახარებაზე, რომ შენ სიკვდილამდე ჩემი ერთგული ხარ და იქნები; ამისრულე ყოველივე, რაც კი მე გიბძანო!..

ფიცს შემდეგ, ერეკლემ ამ გვარი ბძანება გასცა: „ეხლავე შენი შეიარაღებულის ამალით წადი და პაატა ბატონიშვილს გარს შემოერტყი; ეცადე, იმის სახლიდან არავინ არ გაუშვათ, თორემ დიდათ მეწყინება. თოფ-იარაღიც ჩამოართვით პაატა ბატონიშვილს. ვინიცობაა, კითხვა რამ დაგიწყოთ ამ დაპატიმრების შესახებ, თქვენ უთხარით, რომ არა ვიცითრა; ჩვენ მხოლოდ ვასრულებთ მეფის ბძანებასთქო.

ეს თავადიშვილი რომ გაისტუმრა პაატა ბატონიშვილის დასაჭერათ, ერეკლემ სენაკში მოიწვია მეორე თავადიშვილი. ამანაც გამოუცხადა მეფეს თავისი ერთგულობა და ემთხვია ჯვარს და სახარებას. შემდეგ მეფემ უბძანა: „შენ შენის ამალით ახლავე წადი და დავით ბატონიშვილს გარს შემოერტყი“.

ამ რიგათ ყოველ მეფის მოღალატესთან ერეკლემ გაგზავნა ჯარის კაცები, რომელთაც უნდა შეეპყრათ შემთქმელნი. შემდეგ ამისა მეფე გამობძანდა სალხინოში, სადაც იმყოფებოდენ დანარჩენი თავადაზნაურობა; და უბძანა, რომ თავიანთ სახლებში წასულიყვენ. ერეკლემ გულწრფელათ თხოვა მათ, რომ რაც მოხდა, იმის შესახებ უბრალოთ ნურას ილაპარაკებთო.

ვახშმობის დრო იყო, როცა მეფისაგან გაგზავნილი ხუთი თავადიშვილი თავის ჯარით მიუხლოვდა დიმიტრი ამილახვრის სახლს და გარს შემოერტყა. ჯარის უფროსნი შევიდენ სახლში და მოახსენეს სახლის პატრონს, რომ მეფის ბძანებით იგი უნდა დააპატიმრონ. ამას შემდეგ თავადიშვილებმა ჩამოიღეს კედლებიდან მდიდარი იარაღი და დაისაკუთრეს. [2]) როცა ეს დაინახა დიმიტრი ამილახვრის შვილმა ალექსანდრემ, მეტათ აღელვდა და ხმალ ამოღებული თავის ძმებს მაღლა შესძახა: „სიკვდილი სჯობია ამისთანა შეურაცხყოფის მოთმინებას“! თა-

*) იხ. კვალი № 51.

[1]) სამწუხაროთ, არც თეკლე ბატონიშვილი, არც ქართლის ცხოვრება არ ასახელებს მის გვარს.

[2]) ძველი დროიდანვე საქართველოში იყო შემოღებული წესი: დაპატიმრებულის ტანისამოსი, იარაღი, ცხენები ესაკუთრებოდათ მათ, ვინც მეფის ბძანებას ასრულებდა. (Ист. Георгіанск ).

ვადიშვილებმა მალე შეიკავეს ვაზრახებული ახალგაზდა ამილახვარი; მაშინათვე საიდუმლოთ მეფეს შეატყობინეს, რომ ალექსანდრე ამილახვარი ძალიან წინაამდეგობს და შფოთავსო. გაიგო თუ არა ეს ამბავი, ერეკლემ უბძანა ერთ აზნაურს: „ახლავე წადი და დაუყოვნებლივ მომგვარე სასახლეში ალექსანდრე ამილახვარი.“ ამ აზნაურმა მეფის ბძანება გადასცა იმ ჯარის-კაცებს, რომელთაც დაატუსაღეს ამილახვრიანთ ოჯახი. ამ დროს დიმიტრი ამილახვარი ავათმყოფი იყო და ლოგინში იწვა; იგი სახლში დატოვეს, მისი შვილი კი ხელებშეკრული წარუდგინეს მეფეს. ერეკლემ თხოვა მას, რომ შეთქმულობის ამბავი ეთქვა.

—რისთვის გსურდათ ჩემი გვარის ამოწყვეტა! გაჯავრებით ჰკითხა მეფემ.

—ჩემო ბატონო! თქვენი მოკვლა აზრათაც არავის მოსვლია,—უპასუხა ალექსანდრე ამილახვარმა.

—მაშ რას აპირობდით, თუ არ ჩემ მოკვლას?, გაიმეორა მეფემ.

—აი ამის პასუხი: თქვა ამილახვარმა,—თქვენი მოკვლა უსამართლოთ არის ჩვენზე მოგონილი. მამაჩემი რომ კარგათ ყოფილიყო და თქვენი გადაყენება ნდომებოდა, მალეც აასრულებდა თავის წადილს. თქვენი სიკვდილი რა საჭირო იყო... თქვენ თვითონ კარგათ გახსოვთ, რას გიპირობდენ მამა და ბიძაჩემი ჩემ დაბადებამდე. [3]) რათა აიცილოთ ურთიერთ შორის შეტაკება და უთანხმოება, თქვენ დაგვინათესავდით. ჩემს უფროს ძმას გიორგის მიათხოვეთ თქვენი და ელისაბედი. ბოლოს კი, თქვენვე გაჰყარეთ იგინი ცოლ-ქმრობისაგან და მოაშორეთ ერთი ერთმანეთს... ამ გვარი საქციელი სრულებით არ შეჰფერის მეფის გვარეულობას...

ერეკლემ აღარ დააცადა სიტყვის დაბოლოვება და უბძანა გაჩუმებულიყო. მეფე საშინლათ აღელვდა, კინაღამ შემოაკვდა ამილახვარი. იქ მყოფმა თავადიშვილებმა დაამშვიდეს გაჯავრებული და მოთმინებიდან გამოსული მეფე. მათ კრძალვით მოახსენეს: „მცირე წლოვანობის და გონება განუვითარებლობის გამო ნუ დასჯით ალექსანდრე ამილახვარს; თვითონაც არ იცის, რას ამბობსო“... მეფემ ამათ უპასუხა: „იშვიათად იპოვით ამ გვარ უგუნურ მცირე წლოვანს“... ეს რო თქვა, ერეკლემ უბძანა ჯარის კაცებს, დაეტუსაღებიათ ალექსანდრე ამილახვარი. მას თავისივე ქამრით შეუკრეს ხელები და დატოვეს დერეფანში, სადაც დაუყენეს ყარაულები.

მეორე დღეს, დილით შემოიტანეს დერეფანში რკინის ბორკილები და შეუკრეს ამილახვარს ფეხები და მარჯვენა ხელი. ასე შეპყრობილი ხელ-მეორეთ წარუდგინეს მეფეს. დარბაზში ეყარა რამოდენიმე წკეპლა და რკინის გაზები. დაინახა თუ არა ამილახვარი, ერეკლე ადგა თავის ადგილიდან, მიუახლოვდა მას და მაღალის ხმით წარმოთქვა: „მე ნამდვილათ ვიცი, რომ მამაშენს და ყველა თქვენ აზნაურებს განზრახვა გქონდათ ჩემი სახლობა ამოგეწყვიტათ... ნუ თუ შენ ამას უარ ყოფ!“

ამაზე ალექსანდრე ამილახვარმა მეფეს შემდეგი უპასუხა: „ვისაც ეგ თქვენთვის უთქვამს, იმას ყველაფერი ჩემზე კარგათ ეცოდინება. მე კი ამის შესახებ არა ვიცირა; ამის გამო თქვენს სიტყვებს მე ვერ დავეთანხმები“.

ერეკლე ძალიან გაჯავრდა და უბძანა, რომ წკეპლით ეცემნათ ახალგაზდა ამილახვარისთვის. ამ უკანასკნელმა გასაოცარი ჯიუტობა გამოიჩინა მეფის წინაშე. სულ იმას გაიძახოდა: „რამდენიც გინდათ მცემეთ, მე არაფრის თქმა არ შემიძლიან“. ბოლოს ამ ჯიუტობამ მოთმინებიდან გამოიყვანა მეფე; გაჯავრებულმა ერეკლემ გაზი, ხელი სტაცა. ამილახვარს შეეშინდა და ერეკლეს მოახსენა: „შემიბრალეთ, ჩემო ბატონო! ნუ დაივიწყებთ მეფურ ღირსებას... გამგზავნეთ ბიძა თქვენთან, პაატა ბატონიშვილთან და უბძანეთ მას, რომ ყველაფერი გულ-წრფელათ აღიაროს. მაშინ თქვენ აშკარათ დაინახავთ მის და ჩვენ მონაწილეობას ამ საქმეში“.

მეფეს მოეწონა ეს აზრი. მაშინვე უბძანა თავის უფროს შვილს გიორგის, რომ ეხლავე წაეყვანა პაატა ბატონიშვილთან ამილახვარი. გიორგი ბატონიშვილი წავიდა პაატასთან და დაწვრილებით გამოჰკითხა შეთქმულობ-ს ამბავი. შეშინებულმა პაატამ თავისი თავი დამნაშავეთ არ სცნო. მან სრულიად უარყო ამ საქმეში მონაწილეობა. ერთი ღმერთია მოწამე — თქვა სხვათა შორის პაატა ბატონიშვილმა — რომ მე მეფის სიკვდილის შესახებ არაფერი არც მილაპარაკნია და არც მიმოქმედნია... პაატას ამ გვარი პასუხი მოსალოდნელიც იყო, რადგან მას ეგონა, რომ მეფე ერეკლეს არავითარი საბუთი არ ქონდა. სხვა მისი მომხრენიც თავის წინამძღოლს ბაძავდენ და უარყოფდენ თავიანთ ბოროტ განზრახვას. მაგრამ, ვის ატყუებდენ ეს უბედურები! ყველაფერი გამოაშკარავდა ნამდვილის და უტყუარის საბუთებით.

პაატა ბატონიშვილის წერილებში მკაფიოთ იყო აღწერილი, როგორც მიზანი შეთქმულობისა, ისე ყოველივე გარემოება ამ ფაქტისა. მეფის ორგულნი მხდალი და მშიშარა ხალხი აღმოჩნდა; თვითონვე კარგათ გრძნობდენ, რომ მათი საქციელი არ იყო სამართლიანი. იგინი სრულიად უსაფუძვლოთ მოქმედებდენ. ამიტომაც გამოძიების დროს პირველათ შიშის და სირცხვილის გამო ყველამ უარყო თავისი მონაწილეობა შეთქმულობაში. მხოლოთ უკანასკნელათ, სიკვდილის წინ მეფის მოღალატეებმა საჯაროთ აღიარეს თავისი დანაშაულობა.

(დასასრული იქნება)

ალ. გარსევანაშვილი

---

[3]) ალ. ამილახვარი დაიბადა 1750 წელს.

## მ უ ც ე ლ ა

(ზღაპარი)

### XIII.

(დასასრული) *)

ჭ არგათ დაბნელდა რომ მუცელამ თავის სახლის კარები შეაჭრიალა, შეაღო. უნდოდა ეთქვა რამ, მაგრამ თქმას ვეღარაფრისას ახერხებდა.

— ოჰ, მოხვედი, გენაცვალე! ვენაცვალე უფალს და მის სახელს!.. ოჰ, გენაცვალოს შენი უბედური მარინე!.. ვენაცვალე ჩვენს ღვთისმშობელ დედას, რომ შენი თავი ცოცხალი მაჩვენა. სად იყავი, ადამიანო? სად მიგვემალე? შენ ჩემო კარგო, შენ ჩემო ლამაზო!—ეუბნებოდა მარინე თავის საყვარელ მეუღლეს, თან პირზე და ხელებზე ჰკოცნიდა.

მუცელა ხმას არ იღებდა, იდგა გაშეშებული და თვალებიდან სიამოვნების—სიხარულის ცრემლი ჩამოდიოდა.

— ძმაო, მუცელავ! ძმაო, მუცელავ! ოი შენ-კი გენაცვალეთ ღმერთში, ეუბნებოდენ გარ შემორტყმული ძმები და თანაც ჰკოცნიდენ:—როგორ გამხდარა, ქრისტიანებო?!. რა დაგმართნია? რა მოგსვლია? ვაჰ დედას მტრისას! მადლობა ღმერთს, რო ცოცხალი თვალით დაგინახეთ. მუცელა ისევ ისე გაშეშებული იდგა ერთს ადგილს.

— მშიან, პური მაჭამეთ.—თქვა მან ბოლო დროს ტირილის ხმაზე.

— პური? ეხლავე იქნება. თუ შენ მოგვიხვედი თუნდ მთელ, სახლის-კარს ცეცხლი მოეკიდოს აღარ ვინაღვლებთ. მიუგეს ძმებმა.—აბა, ჩქარა სუფრა გაშალეთ.

მუცელაანთ ჩქარა თავისებური სუფრა გაშალეს. მეზობლებიც მოგროვდენ, რა გაიგეს მუცელას მოსვლა, მოდიოდენ მოსაკითხათ.

— როგორ დაახწიე თავი იმ წყეულ დევებს? რამოდენა ტანჯვა-ვაება გამოვიარეთ შენს ძებნაში, რამოდენა ხარჯი გავწიეთ, მაგრამ არ იქნა ვერ შეგხვდით და ვერა. ალბათ ჯადო თუ დაგაფარეს იმ შეჩვენებულებმა.—თქვეს მუცელას ძმებმა.

— ძალიან დაღონდით თქვენც, ხომ რა თქმა უნდა და მთელი ქვეყანაც შეწუხებაში ვიყავით. თვითონ მეფე რა ნაკლებათ იყო განა შეწუხებული—დააყოლეს სხვებმა:—ნამეტნათ იმ ღვინი-ყლაპიას გულისთვის, როგორ მასხარათ დაიჭირა ყველანი!..

— ვინ იყო ისა?—იკითხა შეზარხოშებულმა მუცელამ.

— იყო ერთი უცხოელი გამოჩენილი მსმელი. ახ, ნეტავი, შენ კი გვყოლოდი მაშინ აქა და თუნდა ერთი დღეც აღარ გვეცოცხლა,—მიუგეს იქ მყოფთ.

— აი დედის იმის ღმერთს, რომ იმის ყისმათად დამატყვევეს დევებმა. თქვა მუცელამ, ჰო, დამატყვევეს და განა ადვილია დევების ხელში ყოფნა?!. თქვენს მტერს მისცეს და მოკვთეს აშოროს, რაც მე იმ ულმერთოებმა დამტანჯეს, სწორედ ჯვარს მაცვეს, შიმშილით მომკლეს, მაგრამ იპრიანა ღმერთმა, ბოლოს ისევ ჩემა ყისმათმა გასჭრა და აქლა ისევ ცოცხალსა მხედავთ.

— საკვირველი კია, რო ცოცხალი გამოუშვიხარ? გაგონილა ეგრე აშკარათ კაცის მოტაცება შენ რომ იმათ მოგიტაცეს?!. ჰკითხავდენ ძმები და მეზობლები.

— გეტყვით,—თქვა მუცელამ,—რაკი მათქმევინებთ,—რით დავახრწიე თავი. ჯერ ბევრი ვეხვეწე, ღვთისა წინაშე, ფული ვაძლიე: ორი ჯორის საპალნე ოქრო და ვერცხლი აღუთქვი. შენი ოქრო და ვერცხლი რათ გვინდაო, მითხრეს,—რამდენი გინდა ჩვენ მოგცეთო და მიმითითეს სავსე ქვევრებზე. გავიდა ორი კვირა გამართეს დიდი წვეულობა... ამ დროს მუცელამ იქით-აქეთ მიიხედ-მოიხედა, ესტატე დიაკვანი მოაგონდა,—დიაღ, გამართეს სმეულობა და ჭმეულობა. რაღა იქნებოდა; დიდი ძალი სტუმრები მოიწვიეს, მეც იქვე ვყვანდი შეჯაჭვული. ღვთისა წინაშე ღვინო და სანოვაგე კარგი ცოდნიათ. გამართეს სუფრა, შეუდგნენ სმა-ჭამას. თამადას ირჩევდენ.. რაღაც ყისმათად აკი წამოვიძახე: ხომ გამათავისუფლებთ, რომ ამ საათში ყველანი მიგაძინოთ მეთქი.

— „აბა, თუ შენ მაგას შაიძლებო"—დაიძახეს სტუმრებმა—თავდებათ ჩვენ დაგიდგებითო. მასპინძლებიც დაჰყაბულდენ. რაღა იქნებოდა? ან რაღა ბევრი გავაგრძელო, შეუდექით სმას. ვახსენე ღმერთი. მოვითხოვე კარგა მოზდილი ჯიხვი, მგონია ასში ერთი ამოვარჩიენე; წინათ რაც მოიტანეს დაუწუნე, პატარაა-მეთქი. დავლიე და დავალევინე, დავლიე და დავალევინე. ვნახო, ცოტა ხანს შემდეგ დევები მილაგ-მოლაგდენ, ზოგი ყელ თავქვე, ზოგი ყელ-აღმა. მე ავდექი და ნელ-ნელა გამოვწიე შინისკენ. აი ასე იყო საქმე. მუცელამ, რა თქმა უნდა, ის ამბავი სრულიათაც არ გაიხსენა, თუ თავის დახსნაში თავისი, თავის ცოლისა, თავის ძმების სულები ჩააბარა დევებს საშვილი-შვილოთ, სიგელით.

— ჰაი გენაცვალე, ბიჭო, ღმერთში! დასძახეს

*) იხ. „კვალი" № 51

იქ მყოფთა: დევებისთვინაც არ უჯობნია სმაში! ეეეჰ!.. რა კაცია და!

## XIV

ამიერიდან მუცელას ცხოვრება ჩვეულებრივ მიმდინარეობდა: მიჰყო ხელი წინანდებულათ სმა ჭამას და ერთს თევზე ისევ ავსო მუცელი ლეშით; მუდამ კვირაობით მეფესთან იყო ხოლმე სადილათ მიწვეული. მეფეს დიდათ გაეხარდა მუცელას მშვიდობიანათ დაბრუნება და მიწერა კიდევაც იმ უცხოელს, ულევაშეთელს მსმელს, რომელმაც შეარცხვინა სმა-ჭამეთის მსმელები, მოსვლა სმა-ჭამეთში და მუცელასთან შებრძოლება. მაგრამ ულევაშეთის მეფემ მსმელის მაგივრათ ელჩი გამოუგზავნა სმა-ჭამეთის ხელმწიფეს და თხოვდა ნახევარ სამეფოს; თუ დამითმობ ნებით, ხომ რა კარგი, თუ არა და აგიკლებო. სმა-ჭამეთის მეფემ უარი შეუთვალა. ერთს დღეს მუცელამაც გამოუცხადა ძმებს, რომ მას სწადიან თავის და მათდა სასულიეროთ საყდრის აგება, რადგან იგი დაიხსნა უფალმა დევების ხელიდან. ძმებმაც დასტური დასცეს. მუცელა შეუდგა საქმეს და საძირკველიც ჩააყრევინა ეკკლესიისა... გავიდა ორი თვე მუცელა მეფესთან იყო სადილათ, თამადობდა რასაკვირველია, სწორეთ ამ დროს მოახსენეს მეფეს. „ულევაშეთის მეფის ელჩი გიახლათო!“

— დაუძახეთ, მოვიდეს! თქვა მეფემ.

— მსახური გავიდა და შემოიხმო ნადიმზე უცხოელი ელჩი, რომელმაც მოწიწებით მეფეს თავი დაუკრა და შემდეგ წერილიც მიართვა. მეფემ წერილი საჯაროთ, ხმა-მაღლა წაიკითხა. „სმა-ჭამეთის ბრძანებელო! მოვდივარ შენის სამეფოს ასაკლებათ, პირობისამებრ და გატყობინებ ჩემს განზრახვას წინათვე, რადგან ჩვეულებათ არა მაქვს ჩუმათ, ქურდულათ ვისმე თავს დავესხა, მუხთლობით დავზიანო. ვნახოთ შენთა ქვეშევრდომთა ხმლის ქნევაც და შუბის ხმარებაც ისევე იციან, როგორც კუჭისა და მუცლისა. ამასთანავე უნდა ავილო სისხლი იმ წმინდა პართენისა, რომელიც გასწავლიდათ სიმართლეს, სინათლეს და თქვენ კი მადლობის მაგივრათ სარჩობელაზე ჩამოჰკიდეთ. მოემზადეთ!“.. ამ სიტყვით თავდებოდა წერილი.

მეფემ შუბლი შეიკრა და იქ მყოფმა ნაზირ-ვეზირებმაც კბილებს დაუწყეს ღრჭენა, ხოლო მეფის უწინ ხმის ამოღებას ვერა ბედავდენ.

— მობრძანდით და ჩვენც აქ დაგიხვდებით. ბრძანა მეფემ.—აგერ იმას ხომ ხედავ,— მიუთითა მეფემ მუცელაზე,—თქვენი ჯარი მარტო ამას არ ეყოფა საჭმელათ. დიდი სიამოვნებით მოგელით-თქო, წადი აგრე მოახსენე შენს მეფეს.

— იქნებ მართლა ომს გვიცხადებენ, დიდებულო მეფევ? იკითხა ერთმა ვეზირთაგანმა.

მეფემ თავი დაუქნია ნიშნათ თანხმობისა.

— ახ, ნეტა არ იქნება ისე გაბრიყვდენ ულევაშეთელები და ნახავთ იმათ ყოფას! წაილუღლუღა მუცელამ.

აქ მეფემ ყველა თავის ნაზირ ვეზირებს მოაგონა მათი მამა-პაპათ ვაჟკაცობა და სიჩაუქე, ხოლო მუცელას მის პაპის პაპის, სახელოვან მუცელას საგმირო საქმენი.

— ჩემგან უკეთესს მოელოდე, დიდებულო მეფევ, თქვა ღვინით გაქლინთულმა მუცელამ და თან ლიპზე და მკერდზე ხელი გადისო.

— მეც იმედი მაქვს ყველასი, რომ მტერს არ გააცინებთ ჩემზე, ბძანა კვლავ მეფემ. ხუმრობა ნუ გგონიათ. უნდა ჩვენც მოვემზადნეთ.

— მზათა ვართ, მზათა, თავები შემოგწიროთ! დაიყვირეს ერთხმათ.

— ისე გაუხდით საქმეს, რო მგონია კუდით ქვა ვასროლინოთ-თქვა მუცელამ.—ეხლა კი ნადიმს ნუ მოვშლით, ნუ ავირ-დავირევით: აბა გამხიარულდით, ყმაწვილებო!

— ქეიფს ნუ მოიშლით, კარგი დროება გაატარეთ, ომსაც მოვესწრობით, მხოლოთ უნდა მამა-პაპურათ კი ვიომოთ, ბძანა ცულ-კეთილმა მეფემ.— ჯერ ერთ თვემდისაც არაფერი საქმე არ იქნება და მანამდე ჩვენც უნდა მოვემზადნეთ, აბჯრით და სურსათით.

— დიალ, დიალ!.. რასაკვირველია! უსათუოთ, უსათუოთ, მზათაცა ვართ ყველანი! იძახდენ ნაზირ-ვეზირნი.

ნადიმმა მეორე დღემდე გასტანა. ხალხი საღამო ხანზე დაიშალა. მუცელაც მოვიდა შინ და უამბო შინაურებს ულევაშეთის ხელმწიფის ამბავი. მოძებნა ძველი ჟანგისაგან გამოხრული მამა-პაპის ხმალი, იპოვა დამტვრეული ფარი და შეუდგა ბეჯითად საქმეს. გაწმინდა პირველი, დააკოწიწა მეორე. გაიჩარხა საქმე! დუგლეჯილი ჩაჩქანიც იპოვა, სამკლაურებიც მიაწებ-მოაწება ერთმანერთზე და რაინდულათ გამოეწყო. შვილდ-ისრის გაკეთება თავის ძმას ამირანას დაავალა. შუბიც სადღაც ეგულებოდა ჭერში, თუ კედელში შეტანებული, გაფაციცებით დაეძებდა იმასაც. მუცელა აღარ ხუმრობდა.

## XV

მეფემ, ყოველ თვის სამეფოს კუთხეზე გაგზავნა შიკრიკები ჯარის მოსაგროვებლათ. დაიწყო ხალხმა მოდენა დაბა—სოფლებიდან, მაგრამ, რო გენახათ, რა საბრალო სანახავი იყო ეს ხალხი! რა ბეჩავათ

შეიარაღებული: ზოგს კეტები ეჭირა, ზოგს თოხები, სხვას ბარები წალდები და წალდუნები. მეფე მაინც მხნეთ იყო და ძალიანაც კარგათ შეიარაღებული ეგონა თავისი ლაშქარი; იმან არ იცოდა მტრის ჯარის არაფერი ვითარება. სმა ჭამეი ის ჯარი სატახტო ქალაქის განაპირა ციხეუბანში ჩაუსაფრდა და იქ მოელოდა მტერს, რომელიც ჩრდილოეთიდან გამოჩნდა. მტრის დროშების ელვარება მზის სხივებს აკრთობდა, და არა თუ დროშებისა მთელი იმათ მორთულობის და იარაღისა. ცხენთა და მხედართა მორთულობა უზარმაზარ მოლიპლიპე ზღვათ იყო გადაქცეული. სმა-ჭამეთლები კანკალმა აიტანა: ვინ გაუმაგრდებოდა ამ რკინა-ფოლადით გადაჭედილ-გადალესილს ბრბოსა. და თან ისეთს საკრავებს უკრავდენ, რომ სმა-ჭამეთლები ჭკუიდან გადირიენ. მეფე და მუცელა ჯარს წინ უდგენ; მეფეს გვერდს ეყენა უფროსი ვეზირი და დიდი იმედიცა ჰქონდა მისი გარჯისა. მუცელა იარაღში ჩამჯდარი სპილოზე იჯდა, ხელში მშვილდ-ისარი ეპყრა, მხარზე ფარი ეკიდა, წელზე ხმალი და ზურგზე დიდრონი ჯიხვი, ალბათ ნიშნათ იმისა,—სმაც შემიძლიაო.

ულევაშეთელები როგორც დაგეშილი ქორების ბოინი ისე მიესიენ სმა-ჭამეთლების მოწინავე ჯარს, გეგონებოდათ სათამაშოთ მოდიანო. პირველ შეტაკებაშივე ერთმა ულევაშეთელმა მხედარმა გამოაზუზუნა ისარი ბოძალდით, ჰკრა მუცელას კინკრიხოში, დაასხა თავ-ბრუ და ეს ამოდენა კაცი წამოვიდა დაბლისკენ რახ-რახით. უმხედრო სპილო დაფთხა და დაუწყო ფეხით სრესა თვით სმა-ჭამეთლებს. მეფეს ცხენი მოუკლეს და ჩამოაგდეს ცხენიდან. დაერიენ სმა-ჭამეთლებს და ერთს წუთაში სამიკაციც კი არ მომკვდარა მოაგუნდავეს სმა-ჭამეთლები და გაჰკონეს. შეიპყრეს ტყვეთ, სიმაგრეებიც დაუნგრიეს. მისცეს ციხეებს ცეცხლები და შიგ მსხდომი ჯარი დაბლა პანტა-პუნტით გადმოდიოდა... გაიმარჯვა ულევაშეთის მეფემ. სმა-ჭამეთლების მეფეც ტყვეთ შეიპყრო მუცელასთან ერთათ: გაამართვინა ქალაქის შუა მოედანზე მაღალი საჯდომი ტახტივით, დაჯდა ზედ და დაიყენა ერთს მხარეს თავისი ჯარი, ხოლო მეორეს დატყვევებული სმა-ჭამეთლები.

—სმა-ჭამეთლებო! დაიწყო ულევაშეთის მეფემ: —მე გამიგია, რომ თქვენ შორის მრავალია თურმე სმა-ჭამით გათქმული გმირი და, რადგან ამ სიკეთით მწიროზს ჩემი ქვეყანა, გთხოვთ ამომირჩიოთ თქვენში, ვინც უფრო მეტობს სხვებზე.

—მუცელა, მეფეო, ჩვენი მუცელა!.. იმისთანა, ღვთის მადლმა, არც ყოფილა და არც იქნება. დაიყვირეს სმა-ჭამეთლებმა ერთ-ხმათ...

—მოიყვანეთ, აქ, ჩემთან! ბრძანა ულევაშეთის მეფემ.

მუცელა წარუდგინეს, თავი თუმცა ტკიოდა, მაგრამ უხაროდა კიდეც, იქნება მოწყალება რამ მოიღოს ჩემს თავზედაო.

—სხვაც თუ გყავთ ამის მომდევნო?! იძახოდა მეფე გულ-მოდგინეთ. ამოარჩიეთ და წარმოადგინეთ ამ საათში ჩემთან.

—მაგისთანა სხვა აღარავინ გვეგულება, ბატონო, სწორეთ ოცი კაცის ბადალია! ამბობდენ სმა-ჭამეთლები.

—მომდევნო იქნება იყოს? თქვა კვლავ ულევაშენთა მბრძანებელმა.

—მომდევნო თუ ჩვენი მეფე იქნება, თქვეს სმა-ჭამეთლებმა.

იმათი მეფეც იქვე იდგა ხმალ-შემოხსნილი, გაწბილებული, თავ-ჩაქინდრული.

—ძალიან კარგი: ეს მეორეც თქვენი მეფე! კიდევ სხვა ამათი მომდევნო?! იცინებდა ულევაშენთა მეფე.

სმა-ჭამეთლებმა ამოარჩიეს კიდევ ერთი ცხრაათიოდე კაცი და მხოლოთ მაშინ დაცხრა ულევაშეთის ხელმწიფე. შეუბრალებელმა მტარვალმა უბძანა თავის მბლებელთ, რომ გაემართათ იმავე დღეს თერთმეტი სარჩობელა. სარჩობელები მალე გამართეს და მეფის ბრძანებისამებრ თერთმეტივე, გარდა სმა-ჭამეთლების მეფისა, იმ სარჩობელაზე ჩამოჰკიდეს. დაარჩევთ ეგ თერთმეტი მსმელ-მჭამელი, ჰყვიროდა გაბრაზებული ულევაშენთა ბატონი, სამაგალითოთ ქვეყნისა, რათა უბირთა დაინახონ მაგათი გვამი და შეიგნონ, რომ გარდა სმა-ჭამის ღვთაებისა არის სხვა ღმერთიც. მეფისთვის მიპატიებია, რადგანაც მირონცხებულია. ხოლო ტყვეთ, ძვირფას დავლათ მივიყვან ჩემს სატახტო ქალაქში. ამასთანავე, გიბრძანებთ მდივანნო და სახლთ უხუცესნო, აწეროთ სმა-ჭამეთელების სარჩო,—საბადებელი და გაუწესოთ, რომ დღეში ერთხლის მეტათ ჭამა არ შეეძლოთ. ნებას ნუ მისცემთ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ისე გაივარაუდეთ, რომ ტანჯვა არ მოგინდეთ ბევრი, იმაზე მეტს ნუ შეარჩენთ, რაც დღეში ერთხელ ჭამას ეყოფა... დანარჩენი ხაზინას უნდა მოხმარდეს. ასრულდა ბძანება მეფისა და ნებაც უფლისა. თერთმეტი კაცი დაარჩვეს. პირველათ მუცელა აიყვანეს სარჩობელაზე. ბევრს აღარას ნაღვლობდენ სმა-ჭამეთლები ეხლა-კი, რადგანაც ყველას თავი გაუხდა სანაღვლოთ და სადარდოთ. მუცელას ძმები ცხარე ცრემლს აფრქვევდენ, მაგრამ შველას ვერა ჰბედავდენ. აღელვებულმა მუცელას მეუღლემ ველარ მოითმინა ქმრის ასეთი შეურაცხყოფა, აამრო ერთს მხედარს

ხანჯალი და ორი ვეზირი გამოფატრა, გალომებული დედაკაცი სხვებსაც იმას დამართებდა, რომ არ შეეპყროთ.

—რას შერები, დედა-კაცო?! რას შერები, შე... შე.. უყურებ, უყურებ მაგ... ჰყვიროდენ თვით სმაჭამეთლები, როცა ცოლი ქმარს თავსა სწირავდა.

ასე დასრულდა ეს ამბავი. ამბობდენ, რომ მუცელას საფლავიდან უზარ-მაზარი სვავი ამოფრინდა და მთისკენ გასწიაო. მუცელასაგან ნახევრათ აშენებულს საყდრის ეზოში ჰჭედავდენ პატარა 6—7 წ. ბავშს, რომელიც გამვლელ-გამომვლელს მოწყალებასა თხოვდა, საყდარი უნდა ავაშენოვო.

—ვინა ხარ შენ, პატარავ? რათ გინდა ფული? შენ რა საყდრის აშენება შეგიძლია?!. რა გქვიან შენ?—ჰკითხავდა ვინმე.

—გაყიდული მქვიან, მამილო, გაყიდული—უპასუხებდა პატარა.

ვაჟა-ფშაველა

## საქველ-მოქმედო საქმე

გიგზავნით სოხუმში შეკრებილს 26 მანეთს ზეპირ-სიტყვაობის ფონდის სასარგებლოთ. სია შემწირველთა: სამი მანეთი სიმონ ჭეიშვილმა. ორი მანეთი: ე. გაბუნიასამ, სტ თურქიამ, ივ. ბურჭულაძემ. თითო მანეთი: ივ. გეგეჭკორმა, კლიმენ ლომიძემ, პ. კალანდარაშვილმა, ალ. ქუთათელაძემ, მინა ჭავჭიანიძემ, კირ. მიქელაძემ, პორ. ცინცაძემ, საჩ. თურქიამ, ძმებმა ერქომაიშვილებმა, ვ. რუხაძემ, ნ. გიგაუროვმა. ერ. საბაშვილმა, ალ. ჩაჩავამ, პ. თურქიამ, №.. კარპეზ წეროძემ. ათ-ათი შაური: გ. ცხომელიძემ, ამბაკო ანდღულაძემ.

ამასთანავე იმედი მაქვს, რომ ამ დიდს და სასარგებლო საქმეს ყოველი ქართველი თანაგრძნობას გაუწევს და თავის უკანასკნელს წვლილს ამ საერთო საქმისთვის არ დაიშურებს.

ივანე ბორჭულაძე

ამავე მიზნით მივიღეთ ელ. ძოწენიძისაგან დ. ხობში შეკრებილი 6 მ. 50 კ. სია შემომწირველთა: თითო მანეთი ს. ორჯონიკიძემ, ვალ. ძიუბენკომ, ელ. ძოწენიძემ, ლ. ხუხიამ, თენ. კორტავამ და გრ. კეიდიამ. ათი შაური: მათე ქირიამ.

ქ-ნო რედაქტორო. თქვენს პატივცემულ ჟურნალ „კვალის“ № 41 ამოვიკითხეთ ფრიად საგულისხმიერო აზრი გ. წერეთლისა შესახებ „ირაკლი მეფის თავნის“ დაარსებისა. თანამგრძნობელნი ამ სიმპატიურის აზრისა გიგზავნით ჩვენს წვლილს და გთხოვთ დაბეჭდოთ შემომწირველთა სიაც. თითო მანეთი: მიხ. იანვარაშვილმა, დ. ზ-ლიძე, ალექ. სულთანოვმა, აპ. ფოცხვერაშვილმა, როლ. მათიაშვილმა, ივ. დ. ჩხუბიანოვმა, ის. სულთანიშვილმა, დათ. ვარაზაშვილმა, იობა ბარათაშვილმა, ალექ. ცახელიშვილმა, სარ. კუპრავიშვილმა, 60 კაპ: ადამ ოქილაურმა, ივ. რ. ონანოვმა. 50 კაპ: სვ. ნახუცაროვმა, ნიკ. კერვალიძემ, ალ. თვარაძემ. იოსებ სოლ. სულთანოვმა. 40 კაპ: აზ. დიმ. ქურდევანიძემ. 30 კაპ. სტეფ. მარქაროვმა, ხეჩო ჰაირაპეტოვმა, 20 კ: ალ. გორელიშვილმა, დიმ. ხუციევმა, თავ. გ. ჩერქეზოვმა, ნიკ. აბრამიშვილმა, სულ 16 მანეთი.

მიხ. გიორგის ძე იანვარაშვილი

ადრინდელი შემოწირულებით შეადგენს. 29 მ.

---

**შინაარსი:** ზოგიერთთა საყურადღებოთ, ფხასი.—სხვადა-სხვა ამბები.—სოფელი და სასოფლო შკოლა, საზღვარგარეთულისა.—საყურადღებო ამბები.—მახვილი თუ ინდუსტრია? აკაკისა.—კუდიანი ღრუბელი.—შენიშვნის დამწერს, ოქუმელისა.—ქვესლას ცდა.—ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან (დასასრული), ა. გარსევანაშვილისა.—მუცელა (დასასრული) ვაჟა-ფშაველასი.—საქველ-მოქმედო საქმე.—განცხადებები.—

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა


ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 13 დეკემბერს, 1895 წ.

მეოთხე გასტროლი ეფ. მესხისა

ქართული დრამატული საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოთ

ქ-ნ მ საფაროვისა, ეფ. მესხისა, ყიფიანის და კ. მესხის მონაწილეობით

I

მადამ სან-ჟენ

კომედია 4 მოქ. სარდუსი და მოროსი თარ. კ. მესხისა

II

გულმა იგრძნო

ვოდევილი 1 მოქ.

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა, და სხ. ბ-ნნი კ. მესხი, გედევანოვი, გუნია, სვიმონიძე, კანდელაკი, ადამიძე, ცაგარელი, მჭედლიშვილი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შეგირდებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორეთ 8 საათზე

რეჟისორი ვლ. ალექსეევ-მესხიშვილი

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1896 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით ჩა[ვ] დიბარა ახლაც პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელად 7 მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარის წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელად 2 მანეთ, გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

## ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის, ვ. ბექანეიშვილის, ძმათ წერეთლების, ხეთერლის წიგნის მაღაზიებში და ბ-ნ ლალიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში.—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში და პავილიონში გერ. კალანდაძესთან.—ფოთში: მიხაილ თურქიას.—მიხაილოვკაში (ხაშურში): იოსებ ფანცულაიას.—თიონეთში: ივ. ჩიბალაშვილს.—გორში: არსენ კალანდაძეს—ჭიათურაში: თედორე კიკვაძეს; ყვირილაში: ბ-ნ არაბიძის წიგნის მაღაზიაში—ახალსენაკში და ოზურგეთში: კ. თავართქილაძეს.—საჩხერეში: ყარამან ჩხეიძეს.—თელავში: ვ. ბარნოვს.

მომავალი 1896 წლის ხელის მომწერლებს „კვალისას“ დაურიგდებათ პრემიათ ახა-ლი რომანი გიორგი წერეთლისა, სახელათ

რომანი შედგება სამი ნაწილისაგან.

# „ბუღქან“

---


ОТКРЫТА ПОДПИСКА

**на 1896 годъ**

на ежедневную политическо-общественно-литературную газету

# „ЧЕРНОМОРСКІЙ ВѢСТНИКЪ“

## (ВТОРОЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

Органъ Черноморья и Закавказья „ЧЕРНОМОРСКІЙ ВѢСТНИКЪ“—первая и единственная на всемъ обширномъ восточномъ побережьи Чернаго моря газета - выходитъ ежедневно, за исключеніемъ послѣпраздничныхъ дней, по полной программѣ столичныхъ политическо-общественныхъ ежедневныхъ изданій, утвержденной Г. Министромъ внутреннихъ дѣлъ.

Редакція имѣетъ постоянныхъ корреспондентовъ и сотрудниковъ на всемъ восточномъ побережьи Чернаго моря, въ главныхъ городахъ Закавказья, въ Кубанской области, въ Петербургѣ и Москвѣ.

**Съ 1 января начнется печатаніе хроники-романа „ИЗНАНКА ОКРАИНЫ“.**

Подписная цѣна: **на годъ**—для городскихъ подписчиковъ, съ доставкой, 6 руб.,—для иногородныхъ, съ пересылкой, 7 руб.,—за границу 13 руб.; **на полгода**—для городскихъ 4 руб., для иногородныхъ 5 руб., заграницу 9 руб.; **на одинъ мѣсяцъ**—для городскихъ 1 руб., для иногородныхъ 1 руб. 20 коп. Разсрочка платежа—по соглашенію съ конторой изданія.

ТАРИФЪ ОБЪЯВЛЕНІЙ: на 4-й страницѣ, за мѣсто, занимаемое строкою петита, съ мѣстныхъ объявленій—8 коп., съ иногородныхъ—10 коп.; на 1-й страницѣ—вдвое. При многократныхъ объявленіяхъ—скидка.

**Городскіе и иногородные подписчики благоволятъ адресоваться непосредственно въ КОНТОРУ „ЧЕРНОМОРСКАГО ВѢСТНИКА“, БАТУМЪ.**


Доз. ценз. Тифлисъ, 9 Декабря 1895 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცის Гол. пр., № 41.